დანართი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისო კომისიასთან (შემდგომში - უწყებათაშორისო კომისია) კორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქმნის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ (შემდგომში - საბჭო).

2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტუტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112 დადგენილებით დამტკიცებული „ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით,“ ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. საბჭოს საქმიანობის წესი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განიხილავს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლების დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დიკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად

მუხლი 3. საბჭოს ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. საბჭოს ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებებია:

ა) უწყებათაშორისო კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ბ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და საჭიროების შემთხევაში ქალთა და ბავშთა უფლებების უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება და უწყებათაშორისო კომისიისათვის წარდგენა;

გ) ქალთა და ბავშვთა უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;

დ) ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ე) წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება საკრებულოსა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისათვის წარსადგენად, გადაწყვეტილების მიღება საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე;

ვ) საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება და წელიწდში ერთხელ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენა.

2. საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) ქალთა და ბავშვთა უფლებების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა და მიღება, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობა დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული ინფორმაციის განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში მათზე რეაგირების მოხდენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
გ) ბაღდათის მუნიციპალიტრეტიში ქალთა და ბავშვთა უფლებების დავის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს ბაღდათის მუნიციპალიტეტი;
დ) ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები.
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს თავმჯდომარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან, მისი დავალებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.
2. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები და 21-ზე მეტი. საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
3. საბჭო შედგება: საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნის, საკრებულოს ყველა კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს ფრაქციებიდან თითო წარმომადგენელის, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელის, მუნიციპალიტეტის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურის, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსასხურეობის სამსახურის წარმომადგენელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვა წევრებისაგან. ასევე საბჭოს წევრად შესაძლებელია განისაზღვროს ადგილობრივი კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.
4.საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:
ა) საბჭოდან გასვლის შესახებ პირადი, წერილობითი განცხადების საფუძველზე;
ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში;
გ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან/და გავიდა კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების ვადა;
დ) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;
ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საბჭოს სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;
ვ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული ქალთა და ბავშთა საკითხებზე პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურის ცვლილების შემთხვევაში;
ზ) გარდაცვალების შემთხვევაში.
5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით , საბჭოსთან შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას და საქმიანობის ფორმებს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.
2. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან/და საბჭოს წევრთა 1/3-ის წერილობითი განცხადებით.
3. საბჭოს სხდომაზე გასატანი საკითხების მომზადებას კოორდინაციას უწევს და საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის მუნიციპალიტეტის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურე.
4. საბჭოს სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც განსაზღვრავს სხდომის მოწვევის თარიღსა და დროს, ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს.

5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
6. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.
7. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრს.
8. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა, საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.
9. სხდომაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციამ სხდომის დაწყებამდე 2 დღით ადრე მაინც უნდა მიმართოს წერილობით საკრებულოს თავმჯდომარეს და გამოყოს ერთი წარმომადგენელი საჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.
10. საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენის უფლება აქვს სხდომაში მონაწილე ყველა პირს. ყველა წარდგენილი წინადადება და რეკომენდაცია შეიტანება სხდომის ოქმში.
11. საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებები, სხდომის ოქმში შეტანილი წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნებათ სხდომის ოქმის შედგენიდან 3 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მიღებიდან ერთი თვის ვადაში განიხილონ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები, წინადადებები და რეკომენდაციები, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობონ საბჭოს.
12. საბჭოს თითოეულ წევრს სხდომაზე კენჭისყრის დროს აქვს ერთი ხმის უფლება.
13. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
14. საბჭოს სხდომების ორგანიზებასა და საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს უზრუნველყობს საბჭოს მდივანი.
15.საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.
16. საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და მუნიციპალიტეტის მერიის პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურე, მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.